დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 ოქმით
ცვლილება 2022 წლის 7 ნოემბრის აკადემიური საბჭოს N17/22 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 დეკემბრის 16/24 ოქმით

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია

COLLEGE

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება 3

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა 4

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება 5

მუხლი 5. პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა 6

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება 6

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება 7

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები 7

დანართი#1 8

მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი 8

დანართი#2 12

პროგრამის შეფასების ფორმა 12

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, 2022 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილება N416-ის - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
2. წინამდებარე მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესსა და პროცედურებს.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

1. პროფესიული განათლება იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ხოლო არაფორმალური პროფესიული განათლების სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას.
2. კოლეჯი ავტორიზაციის მინიჭების საფუძველზე ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და კოლეჯის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამები, რომლებიც მან ავტორიზაციის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე განაცხადით დაიმატა.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით. თუ ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის/დიპლომების გაცემით.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახეებია:
   ა) საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
   ბ) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
   გ) უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით) **სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება** ეწოდება.
7. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით.
8. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია, განხორციელდეს დაწესებულებაში.
9. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმებია:
    - დუალური სწავლება;
    - კოოპერაციული სწავლება;
    - იმიტირებული სწავლება.



10. დუალური სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სასწავლო საწარმოს მიერ მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში.
11. დუალური სწავლებისას პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო საწარმოს შორის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფორმდება შრომითი ან სამუშაოს შესრულების/მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ ამავე საწარმოში მისაღწევ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებას.
12. კოოპერაციული სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში.
13. კოოპერაციული სწავლებისას დაწესებულებასა და პარტნიორ კომპანიას შორის წერილობითი ფორმით დგება დოკუმენტი თანამშრომლობის შესახებ. ეს შეიძლება იყოს ხელშეკრულება/მემორანდუმი/შეთანხმება და სხვა.
14. იმიტირებული სწავლება გულისხმობს სწავლებას, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულების იმიტირებულ გარემოში.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებამდე ხორციელდება დაგეგმვის პროცესი.
2. დაგეგმვის ეტაპი შეიძლება მოიცავდეს:
    - ბაზრის კვლევას
    - დამსაქმებლებთან შეხვედრებს

- დაწესებულების რესურსების ანალიზსა და სხვა რელევანტურ გარემოებებს

3. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დირექტორის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით ადგენს მიზანშეწონილობის დოკუმენტს, რომელიც ივსება დანართი #1-ის შესაბამისად.
4. მიზანშეწონილობის დოკუმენტი წარედგინება დირექტორს მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემუშავებისა და დამატებისა მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულება.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელი პირის ან პროგრამის ხელმძღვანელად მოაზრებული პირის მიერ, პროფესიული განათლების მასწავლებლების, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და დაწესებულების სხვადასხვა სტურუქტურული ერთეულების ჩართულობით.
3. დირექტორის ბრძანებით იქმნება პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი.
4. დუალური სწავლების შემთხვევაში, პროგრამა შემუშავდება დაწესებულებისა და სასწავლო საწარმოს მიერ ერთობლივად, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მხარდაჭერით.
5. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია:
   - პროგრამის სახელწოდება,
   - სარეგისტრაციო ნომერი,
   - მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია,
   - პროგრამის მიზანი,
   - პროგრამაზე დაშვების წინაპირობა,
   - კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები,
   - სწავლის შედეგები,
   - პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა,
   - სტრუქტურა და მოდულები,
   - სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება,
   - პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება,
   - პროგრამის განხორციელების ფორმა - დუალური, კოოპერაციული, იმიტირებული.
   - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.
6. პროგრამას დანართების სახით ახლავს: მოდულები (ზოგადი მოდულები, პროფესიული მოდულები, ქართული ენის მოდულები) სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი, პროგრამის განმახორციელებლები და სასწავლო რესურსი.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შუალედური შეფასების პერიოდი.
8. დაწესებულება უფლებამოსილია პროგრამაში გაითვალისწინოს ჩარჩო დოკუმენტით/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული არჩევითი მოდულები.
9. არჩევითი სტატუსის მოდულების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს.
10. პროგრამის შემუშავების ეტაპზე ხორციელდება ჩარჩო დოკუმენტით/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული მოდულებისა და მატერიალური რესურსის დოკუმენტის ადაპტირება.

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს/პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.
12. შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რათა პროგრამისა და მოდულების ადაპტირებისას გამოირიცხოს ტექნიკური სახის უზუსტობების არსებობა და შესაბამისობაში იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან.
13. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული დადებითი შეფაების შემთხვევაში, პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
14. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანეგრვის უფლების მოპოვების მიზნით, დაწესებულება შესაბამის განაცხადს წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მუხლი 5. პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა

1. პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობისა და ყოველდღიური/ყოველკვირეული დატვირთვის შესაბამისად.
2. დუალური სწავლებისას პროგრამის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 2 წლისა (სასწავლო თვეების ერთობლიობა).
3. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში მოქმედებს მექანიზმი, რომლის საფუძველზე ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის შესახებ პროფესიული სტუდენტის განცხადება განიხილება აკადემიურ საბჭოზე. კოლეჯი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით, განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისთვის პროგრამას, საათობრივ დატვირთვას, მეთოდებს და ა.შ.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას.
2. პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოგენილი წერილობითი სახით.
3. შეცვლილ ან მოდიფიცირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს ფორმალური განათლების აღიარების კომისია (კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს ან/და შეიცვალლოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე),
4. დაუშვებელია მოდულის სტანდარტულ ჩანაწერში ცვლილებების განხორციელება.
5. მოდულის დამხმარე ჩანაწერი არის სარეკომენდაციო ხასიათის და დაწესებულება უფლებამოსილია მოახდინოს მისი ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში.
6. თუ სტანდარტულ ჩანაწერში დაფიქსირებულია ხარვეზები, დაწესებულებამ აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებით, დაწესებულება ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ინფორმირებას, იმ შემთხვევაში თუ:

    7.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია ამ ცვლილების ბრძანების გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აღნიშნული ცვლილების შესახებ და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

7.2 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანისას, დაწესებულება ვალდებულია აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აღნიშნულის შესახებ, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

8. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ის ვალდებულია ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებათა შესახებ დაწესებულების სასწავლო პროცესის მენეჯერი დეტალურად ახდენს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას.

10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე, დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რის შემდეგაც ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება.

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების შესახებ;

ბ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა.

გ) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა

დ) პროგრამების განვითარების შეფასების შედეგები, მაგ: პროფესიული სტუდენტის დაბალი მომართვიანობა, პროფესიული სტუდენტის დასაქმების დაბალი მაჩვენებელი

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან და შეცვლასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე წესი, რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება ეფუძნება პროგრამის შეფასებას.
2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროგრამის შეფასების ფორმა (დანართი#2).
3. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა დაწესებულებას შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით.
4. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, პროგრამების შეფასება შესაძლოა უკავშირდებოდეს:
   ა) თემატიკის გამრავალფეროვნებას
   ბ) სასწავლო მეთოდების შეცვლას
   გ) საათების გადანაწილებას
   დ)სასწავლო რესურსის შეცვლას
   ე) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა.
5. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, რის შედეგადაც შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. 2022 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილება N416-ის ამოქმედებამდე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის დუალურ სწავლებად ჩაითვალოს პროგრამის განხორციელება, თუ პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

დანართი#1

მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი			
N	მოთხოვნა	მტკიცებულება (საინფორმაციო რესურსის წყარო)	არ მიესადაგება

1	საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან		
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
2	დაწესებულების სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
3	ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
4	შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მონაცემებზე[1] დაყრდნობით, საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
5	დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება		☐

[1] ისეთი პროფესიებისთვის, რომლის დასაქმების სფერო საერთაშორისო ბაზარია

შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
6	დასაქმების პლატფორმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
7	დაწესებულების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
8	კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებმა გამოკვეთა კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებისუნარიანობა		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
9	მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესაბამისი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრები დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს დაწესებულების), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
10	პროგრამა ხორციელდება სხვა დაწესებულების მიერ, თუმცა თქვენი დაწესებულების პროგრამა იქნება გამორჩეული (რით იქნება თქვენი დაწესებულების მიერ განხორციელებული		☐

	პროგრამა განსხვავებული სხვა კოლეჯებისგან, რომლებიც იგივე პროგრამებს ახორციელებენ)		
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
11	კონკრეტული პროგრამა არ ხორციელდება არცერთი დაწესებულების მიერ.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
12	დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
13	სხვა არგუმენტაცია, რომელიც ცხრილში არ არის დასახელებული		
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			

დანართი#2

პროგრამის შეფასების ფორმა

1. ინფორმაცია პროგრამის თაობაზე

პროგრამის სახელწოდება/ პროგრამის მაიდენტიფიცირებელი სხვა მონაცემები (მაგალითად, ლოკაცია, განხორციელების ენა, განხორციელების ფორმა, საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად) ----------

ფორმის შევსების დაწყების წელი ----------

2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული მონაცემები

მონაცემი	მაჩვენებელი	შევსების დრო
საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამაზე განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა		ფორმის გახსნისას
მიღების გამოცხადებისას არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა		მიღების გამოცხადების შესახებ ბრძანების გამოცემისას
კონკრეტულ მიღებაზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა		მიღების გამოცხადების შესახებ ბრძანების გამოცემისას
პროგრამაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა საერთო რაოდენობა		რეგისტრაციის დასრულებისას (რამდენიმე ეტაპიანი რეგისტრაციისას - ბოლო ეტაპის დასრულებისას)
პროგრამაზე ჩარიცხულ აპლიკანტთა საერთო რაოდენობა		ჩარიცხვის შესახებ ბოლო ბრძანების გამოცემისას
მ.შ. ქალი		
მ.შ. მამაკაცი		
მ.შ. საბაზო განათლების მქონე		
მ.შ. სრული ზოგადი განათლების მქონე		
მ.შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე		
მ.შ. მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები		
მ.შ. პირები, რომლებიც საჭიროებენ ქართული ენის მოდულით სწავლის დაწყებას		
შედეგების ანალიზი/ კოლეჯის მიერ გამოტანილი დასკვნები/ მიზეზები მონაცემებზე დაყრდნობით (EQAVET 3, EQAVET 8)		
პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა პროცენტი, რომლებსაც **შეუჩერდათ** სტატუსი შუალედური შეფასების ჩატარებამდე		პროგრამის შუალედური შეფასების ჩატარების შემდეგ
პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა პროცენტი, რომლებსაც **შეუწყდათ** სტატუსი შუალედური შეფასების ჩატარებამდე		პროგრამის შუალედური შეფასების ჩატარების შემდეგ

პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა პროცენტი, რომლებსაც **შეუჩერდათ** სტატუსი შუალედური შეფასების ჩატარების შემდეგ, პროგრამის დასრულებამდე.		პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შემდეგ
პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა პროცენტი, რომლებსაც **შეუწყდათ** სტატუსი შუალედური შეფასების ე ჩატარებიდან პროგრამის დასრულებამდე.		პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შემდეგ
სტუდენტთა რაოდენობა რომლებსაც მოცემულ პროგრამაზე აღუდგათ სტუდენტის სტატუსი		პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შემდეგ
შედეგების ანალიზი/ კოლეჯის მიერ გამოტანილი დასკვნები/ მიზეზები მონაცემებზე დაყრდნობით **(EQAVET 3, EQAVET 4)**		
პროგრამის ყველა კომპონენტგავლილ სტუდენტთა პროცენტი, რომლებსაც მიენიჭათ კვალიფიკაცია		პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შემდეგ
მ.შ. ქალი		
მ.შ. მამაკაცი		
მ.შ. საბაზო განათლების მქონე		
მ.შ. სრული ზოგადი განათლების მქონე		
მ.შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე		
მ.შ. მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები		
მ.შ. პირები, რომლებმაც ქართული ენის მოდულით დაიწყეს სწავლა		
შედეგების ანალიზი/ კოლეჯის მიერ გამოტანილი დასკვნები/ მიზეზები მონაცემებზე დაყრდნობით **(EQAVET 4, EQAVET 8)**		
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომლებმაც **სწავლა განაგრძეს** სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროგრამის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში		კვალიფიკაციის მინიჭებიდან 12 თვის შემდეგ
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომლებიც დასაქმდნენ პროფესიით, პროგრამის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში (მ.შ. თვითდასაქმებულები)		კვალიფიკაციის მინიჭებიდან 12 თვის შემდეგ
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომლებიც დასაქმდნენ არაპროფილურად, პროგრამის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში (მ.შ. თვითდასაქმებულები)		კვალიფიკაციის მინიჭებიდან 12 თვის შემდეგ

გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომლებმაც **სწავლა განაგრძეს** სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროგრამის დასრულებიდან 36 თვის განმავლობაში		კვალიფიკაციის მინიჭებიდან 36 თვის შემდეგ
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომლებიც დასაქმდნენ პროფესიით, პროგრამის დასრულებიდან 36 თვის განმავლობაში (მ.შ. თვითდასაქმებულები)		კვალიფიკაციის მინიჭებიდან 36 თვის შემდეგ
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომლებიც დასაქმდნენ არაპროფილურად, პროგრამის დასრულებიდან 36 თვის განმავლობაში (მ.შ. თვითდასაქმებულები)		კვალიფიკაციის მინიჭებიდან 36 თვის შემდეგ
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომლებიც მიუხედავად მათი სურვილისა და სამუშაოს აქტიური ძიებისა, ვერ დასაქმდნენ პროგრამის დასრულებიდან 36 თვის განმავლობაში		კვალიფიკაციის მინიჭებიდან 36 თვის შემდეგ
შედეგების ანალიზი/ კოლეჯის მიერ გამოტანილი დასკვნები/ მიზეზები მონაცემებზე დაყრდნობით **(EQAVET 5, EQAVET 7)**		
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ პროგრამის ფარგლებში/ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და ღირებულებები) **მეტწილად** გამოადგათ პროფესიულ საქმიანობაში		კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუადრეს 12 და არაუგვიანეს 36 თვისა
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ პროგრამის ფარგლებში/ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და ღირებულებები) **ნაწილობრივ** გამოადგათ პროფესიულ საქმიანობაში		კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუადრეს 12 და არაუგვიანეს 36 თვისა
გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ პროგრამის ფარგლებში/ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და ღირებულებები) **არ გამოადგათ** პროფესიულ საქმიანობაში		კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუადრეს 12 და არაუგვიანეს 36 თვისა
შედეგების ანალიზი/ კოლეჯის მიერ გამოტანილი დასკვნები/ მიზეზები მონაცემებზე დაყრდნობით **(EQAVET 6)**		
გამოკითხულ დამსაქმებელთა პროცენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ მათი თანამშრომლის მიერ პროგრამის ფარგლებში/ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და ღირებულებები) **მეტწილად**		დასაქმებიდან არაუადრეს 6 და არაუგვიანეს 24 თვისა

შეესაბამებოდა სამუშაო ადგილის მოთხოვნებს. (პროფილურად დასაქმების შემთხვევაში)		
გამოკითხულ დამსაქმებელთა პროცენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ მათი თანამშრომლის მიერ პროგრამის ფარგლებში/ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და ღირებულებები) **ნაწილობრივ** შეესაბამებოდა სამუშაო ადგილის მოთხოვნებს. (პროფილურად დასაქმების შემთხვევაში)		დასაქმებიდან არაუადრეს 6 და არაუგვიანეს 24 თვისა
გამოკითხულ დამსაქმებელთა პროცენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ მათი თანამშრომლის მიერ პროგრამის ფარგლებში/ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და ღირებულებები) **უმეტესწილად არ** შეესაბამებოდა სამუშაო ადგილის მოთხოვნებს		დასაქმებიდან არაუადრეს 6 და არაუგვიანეს 24 თვისა
შედეგების ანალიზი/ კოლეჯის მიერ გამოტანილი დასკვნები/ მიზეზები მონაცემებზე დაყრდნობით **(EQAVET 6)**		
პროგრამის მასწავლებელთა პროცენტული წილი საერთო რაოდენობაში, რომლებმაც გაიარეს პროფესიული მომზადება/გადამზადება დაწესებულების ბაზაზე (კაც/ტრენინგი)		პროგრამის დასრულების მომენტისათვის
პროგრამის მასწავლებელთა პროცენტული წილი საერთო რაოდენობაში, რომლებმაც გაიარეს პროფესიული მომზადება/გადამზადება გარე პროვაიდერებთან (კაც/ტრენინგი)		პროგრამის დასრულების მომენტისათვის
შედეგების ანალიზი/ კოლეჯის მიერ გამოტანილი დასკვნები/ მიზეზები მონაცემებზე დაყრდნობით **(EQAVET 2)**		

ფორმის შევსების დასრულების თარიღი ----------

შენიშვნა:

ფორმა იხსნება პროგრამაზე გამოცხადების დაწყებიდან და ივსება პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, მათ შორის ელექტრონულად. სრულად ან ნაწილობრივ შევსებული ფორმა გამოიყენება დაწესებულების თვითშეფასების პროცესში მე-2 სტანდარტის მტკიცებულების სახით. კოლეჯი პასუხისმგებელია ფორმის შევსების სისწორეზე.